# საბჭოთა საქართველოს 39 წელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-40 წელი № 47 (11658) | ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.





ფოტოპლაკატი ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

## დიადი დღესასწაული

ოცდაცხრამეტი წელი!..

ისტორიისათვის რა მცირე დროა, მაგრამ საბჭოთა საქართველოს გამარჯვებების — გმირული ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის რამდენ ბრწყინვალე ფურცელს იტევს.

ვინ მოთვლის, ადრე რამდენი უთანასწორო ბრძოლა, ურდოთა შემოსევა, ქალაქებისა და სოფლების აოხრება, ადამიანთა რბევა-აწიოკება ახსოვს საქართველოს უძველეს მიწაწყალს. მაგრამ წარსულის ამ სისხლის წვიმებშიც მრავალი საუკუნის განმავლობაში თაობიდან თაობამდე ქართველი ხალხი შრომითა და ბრძოლით ქმნიდა, აყალიბებდა, სჭედდა თავის მდიდარ, თვითმყოფ კულტურას, ინარჩუნებდა არსებობას.

ქვეყნის აღორძინების დიდებული, უმნიშვნელოვანესი, დიადი ფურცელი გადაიშალა საქართველოში 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

„მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს! თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების დროშა — გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. სერგო ორჯონიკიძე".

— ეს დეპეშა იყო მთელი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის გულწრფელი მისალმება ლენინისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, სახელოვანი რუსეთის პროლეტარიატისადმი, რომლებმაც ჩვენს სამშობლოს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანეს.

1921 წლის 28 თებერვალს ლენინმა თავის სიტყვაში მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პლენუმზე განაცხადა: „...თბილისში, უკანასკნელი ცნობებით... საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა". ხოლო 2 მარტს ბელადი ს. ორჯონიკიძის სწერდა: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი".

მას შემდეგ საქართველო ლაღად იფურჩქნება და ვითარდება. პარტიის ნებით აყვავდა მისი მთაველი, დამშვენდა ხალხბედნიერი ქართული მიწა, ამაღლებული, მძლავრი ინდუსტრიისა და ვრცელი საკოლმეურნეო ველების ქვეყანა, ჩაის, ვაზისა და ციტრუსების ოსტატთა, სახელოვან მეცნიერთა ქვეყანა, მარადმზიანი, გულუხვი და გულმართალი.

განსაკუთრებით იცვალა სახე საბჭოთა საქართველომ ამ უკანასკნელ წლებში. მძლავრად შემოდგა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში დიადმა შვიდწლედმა. იგი მოვიდა კომუნისტური შრომის დროშით, როგორც მძლავრი პროჟექტორი, რომლის შუქზე ასე ნათლად მოჩანს კომუნიზმის დიადი შენობა.

საქართველო ზეიმობს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39-ე წლისთავს. ზეიმობს და აჯამებს ჩვენი შახტებისა და მაღაროების სიმძლავრეს, ქართული ფოლადისა და თუჯის, ავტომანქანისა და ელმავლის, მანქანებისა და ჩარხების სიმრავლეს. ზეიმობს და სახავს ჩვენი ზვრებისა და ბაღების, ციტრუსებისა და ყანების, მეცხოველეობის პროდუქტების დოვლათის გადიდების გზებსა და საშუალებებს, ჩვენი კულტურისა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, ჩვენი სახალხო განათლების შემდგომი აყვავებისა და განვითარების ნათელ პერსპექტივებს.

გავა კიდევ ერთი წელი. საქართველო იზეიმებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. ეს დიდი საიუბილეო თარიღია. მის შესახვედრად მზადება უნდა გადაიქცეს შვიდწლედის დიად დასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ნათელ დემონსტრაციად.

კიდევ უფრო ბრწყინვალე, უფრო დიდია საქართველოს მომავალი, მისი ხვალინდელი დღე. რამდენი რამ შეიქმნება, დაიბადება, გამოიწრთობა შვიდწლედის ნათელ დღეებში... აშენდება ახალი ქარხნები, შახტები და ფაბრიკები, გაჩნდება ახალი დასახლებული პუნქტები, ახალი ქუჩები და სახლები. ყოველივე ამას შექმნის ხალხთა მეგობრობის სიდიადით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა საქართველოს მკვიდრი და ბინადარი, მისი ბედის მჭედელი.

პარტიას მიანდო ხალხმა თავისი ბედი, პარტიის პოლიტიკაში ხედავს ხალხი თავისი სასიცოცხლო ინტერესების გამოხატულებას. მან იცის, რომ პარტიის გეგმები კომუნიზმის ხვალინდელი დღეა.

ის უდიდესი ზრუნვა ადამიანისათვის, საბჭოთა ქვეყნისათვის მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის, რომელსაც იჩენენ ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალი შემოქმედებითი შრომისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, კულტურისა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განუხრელი აღმავლობისათვის.

საბჭოთა ხალხის ამ მძლავრ შემოქმედებითს შრომაში ყოველთვის სახელოვანი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ საქართველოს მშრომელებს, რომელთა სიხარულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39-ე წლისთავის ზეიმს გულით იზიარებენ ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ყველა მოძმე ერთა ხალხები.

მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოს!

დაე კიდევ უფრო აყვავდეს და გაიფურჩქნოს მისი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, მძლავრი სახალხო მეურნეობა!

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ორგანიზაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა ინდონეზიის ეროვნულ უნივერსიტეტ „გაჯა მადაში", განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ, სურს რა დახმარება გაუწიოს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს საკუთარი ეროვნული კადრების — ინჟინრების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ექიმების, მასწავლებლების, ეკონომისტებისა და ცოდნის სხვა დარგთა სპეციალისტების მომზადებაში, გადაწყვიტა დააარსოს ქალაქ მოსკოვში ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის პროგრესულ საზოგადოებრივ და მთავრობის წრეებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს არა ერთხელ უთხოვნიათ, რომ გააფართოვდეს მათი ეროვნული კადრების მომზადება საბჭოთა კავშირის სასწავლებლებში. გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სურვილი და წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნების ახალგაზრდობას სსრ კავშირში განათლების მიღების უფრო ფართო შესაძლებლობა მიეცეთ.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი იქმნება აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტთან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირთან და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან.

სწავლის ვადად უნივერსიტეტში დაწესებულია 4 წელი, ხოლო მედიცინის მეცნიერებაში 5 წელი. ახალგაზრდობისათვის, რომელსაც საჭირო მომზადება არა აქვს, უნივერსიტეტის შემადგენლობაში იქმნება მოსამზადებელი ფაკულტეტი 1-დან 3 წლამდე სწავლის ვადით. მოსამზადებელ ფაკულტეტზე შეისწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს, რომელთა ცოდნა საჭიროა უნივერსიტეტში შესასვლელად და რუსულ ენას. მოსამზადებელ ფაკულტეტზე სწავლის ვადა განისაზღვრება შემსვლელთა ზოგად-საგანმანათლებლო მომზადებით.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში მიიღებენ 35 წლამდე ასაკის მდედრობითი და მამრობითი სქესის პირებს განურჩევლად რასისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. მიღების შესახებ განცხადების შეტანა შეიძლება შესაბამისი ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მთავრობის დაწესებულებათა მეშვეობით ამ ქვეყნებში სსრ კავშირის საელჩოებისა და საკონსულოების მეშვეობით, აგრეთვე უშუალოდ უნივერსიტეტში.

განზრახულია 1960 წელს მიიღონ 500 კაცი, რათა მომდევნო წლებში უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რიცხვი გადიდდეს 3-4 ათასამდე.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში სწავლა უფასო იქნება. უნივერსიტეტი ყველა სტუდენტს უზრუნველყოფს სტიპენდიით, უფასო სამედიცინო მომსახურებითა და საერთო საცხოვრებლით, კისრულობს სტუდენტთა მოსკოვში მგზავრობისა და დაბრუნებული მგზავრობის ხარჯებს.

უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გამოიცემა საჭირო სახელმძღვანელოები და სასწავლო წიგნები რუსულ ენაზე და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა შესაბამის ენებზე.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განახორციელებს უნივერსიტეტის საბჭო, რომელშიც შევლენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს, სსრ კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

უნივერსიტეტი აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან და სხვა ქვეყნებიდან მოიწვევს თვალსაჩინო მეცნიერებს მასწავლებლებად.



# ჩვენი რესპუბლიკის რუკასთან

ოცდაცხრამეტი წლისაა საბჭოთა საქართველო. უმაგალითოდ აყვავდა, გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკა ამ მოკლე ხნის მანძილზე. ახალი ქარხნებით, ფაბრიკებით, შახტებით, მაღაროებით, ჰიდროელსადგურებით, ბაღ-ვენახებით, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებით დამშვენდა ჩვენი მზიური ქალაქები, დაბები, ახალშენები.

საქართველოს გულია ათასხუთასწლოვანი დედაქალაქი თბილისი. გამშვენიერდა, გალამაზდა ჩვენი მამულის ეს ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი. საზღვარგარეთაც იგზავნება აქაურ საწარმოთა პროდუქცია, რომელსაც ამშვენებს მარკა „თბილისი".

თავისი არსებობის მეთორმეტე წელიწადში გადავიდა ქალაქი რუსთავი. ოდესღაც უკაცრიელ ადგილას გაშენდა ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტი. რუსთავი ახლა ჩვენი სამშობლოს მრავალ კუთხეს ამარაგებს ქართული ფოლადით, ნაგლინით, ცემენტით.

გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი. სად არ ნახავთ ამ „სავარდო და სამაისო" ქალაქში გამოშვებულ შესანიშნავ ავტომობილებს, სამთო მრეწველობის საუცხოო მოწყობილობას.

ჭიათურის მარგანეცს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ხარისხის მიხედვით. ახალ შვიდწლედში ჭიათურაში დაბანდებული იქნება 970 მილიონი მანეთი მაღაროების მოსაწყობად, ქარხნებისა და ბინების ასაგებად, ქალაქის კეთილმოსაწყობად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამშვენდა ზღვისპირა ქალაქები ბათუმი, სოხუმი და ახალი კოლხიდის თვალის სინათლე ფოთი. დიდად გაიზარდა მათი მრეწველობა, სანაოსნო ტვირთბრუნვა. ვის არ მოხიბლავს მარადმწვანე ქუჩები, პარკები. ათეულ ათასობით ტურისტი მოდის ამ ქალაქების სანახავად, დასასვენებლად. მშრომელთა ჯანმრთელობის კერაა მათ ირგვლივ გაშენებული მშვენიერი სანატორიუმები.

ხელახლა იშვა მიწისძვრისაგან ნანგრევებად ქცეული ქალაქი გორი. სად არ გაითქვეს სახელი მისმა კონსერვებმა, ბამბეულის კომბინატის ნაწარმმა!

ქვანახშირის მრეწველობის ძველ კერას ტყიბულს მხარში ამოუდგა მექანიზებული შახტებით ცნობილი ქალაქები ტყვარჩელი და ახალციხე. ძვირფასი სათბობით ამარაგებს რესპუბლიკას ამ სამეულის წიაღიდან ამოღებული ქვანახშირი.

იაფ ელექტროენერგიას აწვდიან ქვეყანას ჩვენი მძლავრი ჰიდროელსადგურები — ზაჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი, ტყიბულჰესი, ლაჯანურჰესი, გუმათჰესი და მრავალი სხვა.

ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით დამშვენებულია მზიური აჭარა, აფხაზეთის, გურია-სამეგრელოს და იმერეთის რაიონები.

ზვრებს დაუფარავთ ბარაქიანი კახეთის ველ-მინდვრები. ხელიდან არ უშვებს პირველობას საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი გურჯაანის რაიონი. წლითიწლობით ზრდიან ყურძნისა და მარცვლეულის მოსავალს თელავის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონები, დასავლეთ საქართველოდან კი ზესტაფონის, საჩხერის, ამბროლაურის რაიონები.

პატარაა ეს რუკა. დიდია საბჭოთა საქართველოს მიღწევები.

# ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში

**სურაბაია**, 23 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი პრეზიდენტ სუკარნოს თანხლებით ქალაქ სურაბაიიდან ბალის კუნძულზე გაემგზავრა თვითმფრინავით.

სურაბაიის აეროდრომზე საპატიო საბჭოთა სტუმარი გულთბილად გააცილეს ქალაქის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა, ქალაქის საზოგადოებრიობის მრავალმა წარმომადგენელმა და მცხოვრებლებმა.

დღეს შუადღისას ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი სუკარნო და მათი თანმხლები პირნი ქალაქ დენპასარს (ბალის კუნძული) ჩაფრინდნენ.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვს საზეიმო და გულთბილი მიღება მოუწყეს.

**სურაბაია**, 23 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს შუადღემდე ნ. ს. ხრუშჩოვმა, პრეზიდენტმა სუკარნომ და მათმა თანმხლებმა ოფიციალურმა პირებმა დაათვალიერეს მინის ქარხანა „იგლასი". ქარხნის მუშები — ძირითადად ახალგაზრდობა — აღფრთოვანებით მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ სუკარნოს. ქარხნიდან წასვლის წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმატება უსურვა მუშებს. ვუსურვებ ახალგაზრდა ინდონეზიას, თქვა მან, იყოს თავისი ქვეყნის კარგი ბატონ-პატრონი.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი სუკარნო და მათი თანმხლები პირები წავიდნენ ბალის კუნძულზე.

**დენპასარი**, 23 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი სუკარნო და მათი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ დენპასარში — ბალის კუნძულის ცენტრში. აეროდრომზე საპატიო საბჭოთა სტუმარს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმნენ ბალის კუნძულის გუბერნატორი დაუდ შაჰი, კუნძულის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა უმაღლესი წარმომადგენელნი. ინდონეზიური ჩვეულებისამებრ ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ სუკარნოს ჩამოჰკიდეს წითელი ყვავილების გირლანდები. ფერადი ეროვნული კოსტუმებით გამოწყობილი კუნძულის მცხოვრებნი გულითადად მიესალმებიან საბჭოთა სტუმარს. მთელ გზაზე აეროდრომიდან მისთვის მიჩენილ რეზიდენციამდე ნ. ს. ხრუშჩოვს გულთბილად მიესალმებოდა დენპასარისა და ახლომახლო სოფლების ათიათასობით მცხოვრები.

**ჯაკარტა**, 24 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჯაკარტის რადიო იუწყება, ინდონეზიის პარლამენტის თავმჯდომარემ სარტონომ გამოაცხადა, რომ 26 თებერვალს მოწვეულ იქნება პარლამენტის საგანგებო სესია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან შესახვედრად.

**დენპასარი**, 24 თებერვალი, (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტ სუკარნოს შორის გაიმართა მოლაპარაკება საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, ინდონეზიის რესპუბლიკის პირველმა მინისტრმა ჯუანდამ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ.

უფრო ადრე ნ. ს. ხრუშჩოვმა, პრეზიდენტმა სუკარნომ და მათმა თანმხლებმა პირებმა ავტომანქანებით იმოგზაურეს კუნძულზე და დაათვალიერეს ბალიელ ოსტატთა სურათებისა და ხელოსანთა ნაწარმის გამოფენა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის დანარჩენი წევრები განაგრძობდნენ კუნძულ ბალის ღირსშესანიშნაობათა, მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და ეროვნული კულტურის გაცნობას.

სალამოს ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი სუკარნო და მათი თანმხლები პირები დაესწრნენ ბალის მუსიკისა და ცეკვის კონცერტს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბალის ცეკვისა და სიმღერის საუკეთესო შემსრულებლებმა.

## გულითადი სურვილები

**ჯოკიაკარტა**, 23 თებერვალი. (საკდესი). ჯოკიაკარტის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე დიდი სათაურებით აქვეყნებს ანგარიშებს ნ. ს. ხრუშჩოვის 21 თებერვლის გამოსვლის შესახებ „გაჯა მადის" უნივერსიტეტში. საპატიო საბჭოთა სტუმრის ვიზიტი, ხაზგასმით აღნიშნავენ გაზეთები, სამსახურს გაუწევს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

22 თებერვალს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდონეზია-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების ჯოკიაკარტის განყოფილების დელეგაცია. დელეგაციის წევრებმა საბჭოთა მთავრობის მეთაურს მიართვეს სამახსოვრო საჩუქარი. ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადაიხადა საჩუქრისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მეგობრული წერილი გაუგზავნა „გაჯა მადის" უნივერსიტეტის რექტორს სარჯიტოს.

წერილში ნათქვამია:

პატივცემულო ბ-ნო რექტორო, ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა მოგახსენოთ გულთბილი შეხვედრისათვის, რაც ჩვენ მოგვიწყეს თქვენი უნივერსიტეტის პროფესორებმა, მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. თერთმეტი ათას ხუთასი სტუდენტი, რომლებიც ეუფლებიან ცოდნას მეცნიერების ტაძარში, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, ახალი დიდი ინდონეზიის მომავალი მშენებლები არიან.

ნება მიბოძეთ ვუსურვო ქ. ჯოკიაკარტის უნივერსიტეტის კოლექტივს დიდი წარმატებები. იმედი მაქვს, რომ თქვენი უნივერსიტეტისა და საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების, მასწავლებლების შემოქმედებითი ურთიერთობა, აგრეთვე სტუდენტების გაცვლა ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების კულტურათა ურთიერთგამდიდრებასა და მეცნიერების პროგრესს. გთხოვთ მიიღოთ როგორც ამ თანამშრომლობის სიმბოლო სამახსოვრო საჩუქარი — რუსული და უცხოური წიგნების ბიბლიოთეკა.

1960 წლის 22 თებერვალი.

თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი

**ნ. ხრუშჩოვი.**

კომუნისტი

ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 1960 წ.

# დიდი ოქტომბრის ნათელი გზით

## საზეიმო სხდომა თბილისში

★

**როგორც** დიდ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს აღნიშნავს ქართველი ხალხი საბჭოთა საქართველოს 39-ე წლისთავსა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 42-ე წლისთავს. ღირსშესანიშნავ თარიღებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი ხვდებიან ისეთ ვითარებაში, როცა ისინი ჩაებნენ ბრძოლაში შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა, საქართველოს მშრომელებს, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, აღაფრთოვანებს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის დიადი სამშობლოს სასახელოდ.

გუშინ, 24 თებერვალს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სახელოვანი წლისთავებისადმი.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ მრეწველობის საწარმოთა, ტრანსპორტისა და მშენებლობათა მუშაკები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები.

სცენის სიღრმეში ვეებერთელა ალისფერი ქსოვილის ფონზეა ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტი. ოქროსფრად ბრწყინავენ თარიღები: „1921-1960" და „1918-1960". საბრძოლო დროშებთან დგას ჯარის საპატიო ყარაული. სცენის თავზეა ტრანსპარანტი „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს 39-ე წლისთავს!". იარუსებს შემოვლებული აქვს წითელი ტილო, რომელზეც წარწერილია: „დიდება საბჭოთა არმიას!".

პრეზიდიუმის მაგიდს უსხედან ამხანაგები გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, კ. ნ. გალიცკი, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე გ. ი. ჩოგოვაძე და სხვები.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუჭავამ. ქართველი ხალხი, ამბობს იგი, თავის ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდამეცხრამეტე წლისთავსა და სახელოვანი შეიარაღებული ძალების ორმოცდამეორე წლისთავს აღნიშნავს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობებში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ქართველი ხალხი, ისე როგორც მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით იბრძვის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მტკიცე ნაბიჯით მიდის დიდი ოქტომბრით გაცისკროვნებული ნათელი და ფართო გზით.

მომხსენებელი ლაპარაკობს ისტორიულ გზაზე რომელიც საბჭოთა საქართველომ განვლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

კიდევ უფრო ფართო და სასიხარულო პერსპექტივები ისახება საქართველოს წინაშე შვიდწლედში. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია ამ პერიოდში გადიდდება 80 პროცენტით. საქართველო გახდება განვითარებული ქიმიური მრეწველობის, მოწინავე მანქანათმშენებლობის, მსხვილი ელექტროტექნიკური წარმოებისა და ხელსაწყოთმშენებლობის რესპუბლიკა.

აღმავლობის გზაზეა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელნი, აღფრთოვანებულნი მათი შრომის მაღალი შეფასებით, რაც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, აქტიურად ჩაებნენ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და იკისრეს 1960 წელს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დიდად განვითარებული სოციალისტური სახალხო მეურნეობის მტკიცე საფუძველზე განუხრელად მაღლდება ქართველი ხალხის ცხოვრების დონე, უფრო სრულად კმაყოფილდება მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. იგი ლაპარაკობს სახალხო განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავებაზე რესპუბლიკაში.

— თავისი ძალებისადმი მტკიცე რწმენით, სკკპ უძველესი, ნაცადი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, — ამბობს ამხ. კუჭავა, — სიამაყით ეგებება ქართველი ხალხი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-40 წელს. ჭეშმარიტად კოლოსალური ჩვენი ხალხის მიღწევები პარტიის ლენინური პოლიტიკის ტრიუმფია, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ცხოველმყოფელი ძალებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის დამაჯერებელი დემონსტრაციაა.

მ. ი. კუჭავა შემდეგ ლაპარაკობს საბჭოთა სახელმწიფოს გაზრდილ ავტორიტეტზე. უფრო მკაფიოდ, ვიდრე ოდესმე, დღეს ჩანს სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, უფრო ამაღლდა მისი საერთაშორისო პრესტიჟი.

სოციალიზმის მსოფლიო ბანაკის ერთობლივ ღონისძიებებს, საბჭოთა მთავრობის გაბედულ და ამასთან შორსმჭვრეტელურ საგარეო პოლიტიკურ აქციებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ენერგიულ, დაუცხრომელ მოღვაწეობას მშვიდობის საქეთილდღეოდ უკვე მოაქვს კარგი ნაყოფი. საერთაშორისო დაძაბულობის შავი ღრუბლები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში აბნელებდა ცის კამარას, თანდათან იფანტება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ყველაზე მაღლა აყენებენ მშრომელი მასების ინტერესებს, მაღლა უჭირავთ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის დროშა.

ერთგული გუშაგი საბჭოთა ხალხისა, რომელიც კომუნიზმის ნათელ შენობას აშენებს, არიან ჩვენი შეიარაღებული ძალები, რომლებმაც განვლეს განსაცდელთა და სახელოვან გამარჯვებათა ორმოცდაორი წლის გზა. საბჭოთა არმიის მთელი პირადი შემადგენლობა უსაზღვროდ ერთგულია ხალხის ინტერესებისა, პარტიის ინტერესებისა, საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებისა. ქართველი ხალხის სახელით ამხ. კუჭავა მხურვალედ ულოცავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირად შემადგენლობას, სსრ კავშირის მამაცი შეიარაღებული ძალების 42-ე წლისთავს და უსურვებს ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

მოხსენების დასასრულს ამხ. კუჭავა აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39-ე წლისთავი დაემთხვა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობის გახსნის 38-ე წლისთავს. აქ, ამ დარბაზში, 38 წლის წინათ, 1922 წლის 25 თებერვალს საღამოს საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ ფ. მახარაძემ გახსნა საბჭოების ყრილობის პირველი სხდომა რუსი ხალხისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, დიდი ლენინისადმი მადლობის სიტყვებით, ვისმა ფასდაუდებელმა დახმარებამაც ძირეულად შეცვალა ქართველი ხალხის ისტორიული ბედი.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი მომხსენებლის სიტყვებს, როცა მან გამარჯვება უსურვა მოძმე საბჭოთა ხალხების მეგობრობას, კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საიმედო გუშაგს — სახელოვან საბჭოთა არმიას, საბჭოთა კავშირის დიდ კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი ოქტომბრის დროშით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მძლავრად და ზეიმურად ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომელსაც ცვლის საქართველოს სსრ ჰიმნის მელოდია.

• • •

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. კონცერტს დაესწრნენ საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატები, რომლებიც სტუმრად არიან თბილისში. (საქდესი).

## საქართველოს გაზაფხული

კოჯორიდან, დიღომიდან,
ტაბახმელას ტაფობიდან
ცისარტყელა იღიმება,
ია-ია აფოფინდა.
ჰეი! ქართლის ნიავქარებს
გაზაფხული მიახარეთ!
მოღუღუნე ნაკადულებს
ვერცხლის სირმად დაფანტულებს,
ხმაწკრიალა წვიმის წკირებს
მიულოცეთ სიყმაწვილე!..
ელავს ზეცის ფიორები,
ღელავს მიწის საკინძენი,
უკვე ჩადგეს ჩიორებმა
ხეში ნედლი საძირკველი.
დიდებისგან დადაფნული
მოგუგუნებს გაზაფხული:
ჩემი ერის,
ჩემი კერის,
ჩემი მტკვარის გათენება,
ყველა ძველი სატკივარის
მარადისი გამთელება!
ჰეი! ქართლის თებერვალო,
შენი შუქით ალვივსებით,
მშვიდობის ხმას ებანება
ჩვენს მინდვრებში სახნისები!..
ჩვენი ზეცის რაკეტებიც
მშვიდობაზე ვაგუგუნეთ,
სამყაროს მზედ აკვირტდები
კომუნიზმის საუკუნევ!..
ამას მღერის თებერვალიც,
შენი შუქით დადაფნული,
მთებზე ტურფად გადმომდგარი
საქართველოს გაზაფხული..
მაშ, ღუღუნა ნაკადულებს,
ვერცხლის სირმად დაფანტულებს,
ხმაწკრიალა წვიმის წკირებს
მიულოცეთ სიყმაწვილე!
ქართლის ქედებს, ქართლის ბორცვებს,
კომუნიზმის აშლილ ალმებს,
გაზაფხული მიულოცეთ,
თებერვალი მიულოცეთ,
მიესალმეთ!

**ნაზი კილასონია.**

# მთავრობის ჯილდო ღირსეულთ

22 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცათ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, დაჯილდოებულთ იმისათვის, რომ საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს 1959 წელს ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში; ამასთანავე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები გადაეცათ იმ პირთ, რომლებიც დაჯილდოებული არიან საპატიო წოდებებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილმა წაიკითხა ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ **ლენინის ორდენი** გადასცა სამგორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავს ს. ი. დელიბაშვილს და წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს გ. ი. დოლიძეს.

**შრომის წითელი დროშის ორდენი** მიიღო გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ი. იაშვილმა.

**მედალი „შრომითი მამაცობისათვის"** გადაეცათ საქართველოს კომპარტიის თეთრიწყაროს რაიკომის პირველ მდივანს ა. ს. ბექაურს, ზუგდიდის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ი. ი. ქანთარიას, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. დ. კოზაევს, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს ი. თ. ცივაძესა და სხვებს, სულ ცხრა დაჯილდოებულს.

ამხ. გ. ს. ძოწენიძემ სიგელი საქართველოს სსრ სახალხო პოეტის წოდების მინიჭების შესახებ გადასცა პოეტ-აკადემიკოსს გ. ნ. ლეონიძეს, რომელსაც ეს საპატიო წოდება მიენიჭა დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით და თვალსაჩინო დამსახურებისათვის ქართული საბჭოთა პოეზიისა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

სიგელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მიიღო მხატვარმა გ. პ. მესხმა, რომელსაც ეს წოდება მიენიჭა დაბადების 75 წლისთავთან და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით და დიდი დამსახურებისათვის ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი მიიღო რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა დ. ნ. შვედოვმა, რომელიც დაჯილდოებულია მუსიკალური ხელოვნების დარგში მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით და თვალსაჩინო დამსახურებისათვის ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ მუშებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის საკვლევი ატომგულის რეაქტორის მშენებლობაზე. სიგელები მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ე. ლ. ანდრონიკაშვილმა, ამავე ინსტიტუტის რეაქტორის განყოფილების გამგემ ვ. ი. გომელაურმა, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს მებეტონემ ვ. ლ. ქავთარაძემ და სხვებმა, სულ 11 კაცმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები მიიღეს მუშებმა, ინჟინრებმა, დამპროექტებლებმა, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დარკვეთ-საჩხერის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე. დაჯილდოებულთა შორის არიან — დარკვეთ-საჩხერის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტის ავტორი, კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერი გ. კ. ჯაში, ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მთავარი ინჟინერი ჯ. ი. სიხარულიძე და სხვები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ მშენებლებს, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყარადაღ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობაზე, ისინი დაჯილდოებული არიან მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით; მათ შორის არიან ტრესტ „საქნავთობის" მთავარი ინჟინერი ე. ნ. ვასაძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი გ. ა. ჟურავსკი და სხვები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ აგრეთვე ჩუმათელეთ-ხევი-ძირულის უღელტეხილის გზატკეცილის რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოთა მონაწილეებს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სახალხო პოეტმა, აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, მწველავმა ს. დელიბაშვილმა, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. დოლიძემ, სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. იაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა მათ ახალი წარმატებანი მუშაობაში. (საქდესი).



ამ დღეებში თბილისის ოქტომბრის რაიონის 24-ე მასობრივი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39-ე წლისთავისა და ლენინის დაბადების 90-ე წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყეს ძველ რევოლუციონერს ზაქარია კონსტანტინეს-ძე გელოვანს.

**სურათზე:** ზ. გელოვანი ესაუბრება მკითხველებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# ჯარისკაცი

**მკითხველებში პოპულარობით სარგებლობს ქართველი საბჭოთა მწერლის ალექსანდრე ქუთათელის რომანი „პირისპირ", რომლის მეოთხე წიგნი დაასრულა მწერალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39-ე წლისთავისათვის. წიგნს გამოსცემს „საბჭოთა საქართველო". ვბეჭდავთ ნაწყვეტს რომანიდან.**

## ალექსანდრე ქუთათელი

„სახალხო გვარდიის დღეს", თბილისის გარნიზონის ჯარების ალლუმი მოეწყო.

ჰალარა კაცი, ნოე ჟორდანია სასახლიდან გამოვიდა. იქვე, რუსთაველის პროსპექტის პირას გაშენებულ ხის ფარღალალა ტრიბუნაზე ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ელჩები, სამხედრო პირები და საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრები იდგნენ.

პროსპექტის ორივე მხარეს ჩარაზმულ ჯარებს ჟორდანია ნაძალადევი საზეიმო ღიმილით ესალმებოდა, მაგრამ ჯარისკაცები მას ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ხვდებოდნენ. ამან ააღელვა მენშევიკური მთავრობის მეთაური, განსაკუთრებით კი გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი ინფორმირებული იყო საგანგებო რაზმის უფროსის მიერ: რა წამს რუსთაველის პროსპექტზე და ოლღის ქუჩაზე ჯარები დაეწყო, უხილავმა ხელმა ელვის სისწრაფით გაავრცელა ჯარისკაცებში პროკლამაციები. მინისტრმა იცოდა იმ პროკლამაციების შინაარსი და ჟორდანიას მისალმებაზე ჯარისკაცების გულგრილობას ბოლშევიკურ აგიტაციას აბრალებდა.

რაც უფრო მიიწევდა ჟორდანია, მით უფრო მოშვებული და მეჩხერი ხდებოდა „ვაშა". ჯუღელი ბრაზისაგან გაიგუდა, ქუდი მოიხადა, ხელი ასწია და ჯარისკაცებს ანიშნა, რომ მთავრობის მეთაურისათვის ერთსულოვნად, მხნედ და ხმამაღლა ეპასუხნათ. ასეთსავე ნიშანს აძლევდა ჯარისკაცებს სარდალიც. მაგრამ ამ ნიშნებზე ჯარისკაცები დამცინავად იღიმებოდნენ, ან კიდევ მრისხანედ შესცქეროდნენ სახეში ჟორდანიას და მისი ამალის წევრებს.

ამ დროს ხალხს უცნაური საკრავების ხმა და დოლების ცემა შემოესმა. ცოტა ხნის შემდეგ პროსპექტზე ინგლისის კოლონიური ჯარების პოლკიც გამოჩნდა.

იგი შედგებოდა პატარა, შავი, გამხდარი და გალახული, ჩია ჯარისკაცებისაგან. მათ ფრენჩები, გალიფე, ჰამაშები ეცვათ და მათი ჯუჯა ტანისათვის შეუფერებელი დიდი კარაბინები თასმებით ეკიდათ მხარზე. ისინი მონდომებით მოდიოდნენ და ნალებდარტყმულ, დალურსმულ ფეხსაცმელს აბრახუნებდნენ პროსპექტზე. წინ მიუძღოდათ შოტლანდური ბათალიონიდან ნათხოვარი ორკესტრი.

პოლკი გასცდა ფოსტის შენობას, ოპერის თეატრისაკენ გაემართა და არ ფიქრობდა პროსპექტიდან გადახვევას და პარალელურ ქუჩაზე გასვლას, სადაც გამოყოფილი იყო მისთვის მესანგრეთა ჯარების ყაზარმები.

ჟორდანია და მისი ამალა იძულებული გახდნენ სასტუმროს მახლობლად შეჩერებულიყვნენ და შეეწყვიტათ ჯარების დათვალიერება. მაშინ თბილისის გარნიზონის უფროსმა ინგლისის კოლონიური პოლკის უფროსს თავისი ადიუტანტი გაუგზავნა. თავქუდმოგლეჯილი ადიუტანტი გაიქცა და ცხენსავით დიდთავა, ვეება ნიკაპიან მაღალ და მწითურ კაცს, ინგლისის პოლკის უფროსს — მაიორს გაეჭიმა და გარნიზონის უფროსის თხოვნა გადასცა, გაეთავისუფლებინა პროსპექტი. მაიორმა მრისხანედ შეხედა. გაუკვირდა, ეს კაცი რომ ბედავდა წინადადება მიეცა დიდი ბრიტანეთის პოლკისათვის შეეცვალა თავისი სვლის გზა და სახის მედიდური, თავხედური გამომეტყველებით განაგრძო ჯარისკაცთა შორის სვლა. ადიუტანტმა ისევ მიირბინა მასთან.

— ბატონო მაიორო, გარნიზონის უფროსი გთხოვთ გაათავისუფლოთ პროსპექტი, გადაუხვიოთ აი ამ ოპერის თეატრის შენობასთან, ხელი არ შეუშალოთ ალლუმს და ჯარების დათვალიერებას.

მაიორი არ შეჩერებულა, არც შეუხედავს ადიუტანტისათვის, ისე გაუღიმა თავის ხელქვეით ოფიცრებს, დიდი კბილები გამოაჩინა და სახეზე ირონიული ღიმილით გზა განაგრძო.

ჟორდანია მობრუნდა და გარნიზონის უფროსს უთხრა: დაუძახეთ ადიუტანტს, რას ჩასცივებია ინგლისელ ოფიცერს! აბა შეხედეთ, რასა შვრება? ჩხუბს ხომ არ აპირებს მასთან? დაუძახეთ, დაუძახეთ...

„ესეც შენი ჟორდანია!" — დაცინვით გაიფიქრა გენერალმა აზიზაშვილმა. ჟორდანიამ კი ადვილად გადაყლაპა ინგლისელი ოფიცრების მიერ მიყენებული შეურაცხყოფა, გვერდზე მიდგა, გზა დაუთმო მათ. მაგრამ ჯარისკაცის მაზარაში გადაცმულმა ქართველმა მუშებმა და გლეხებმა თავისი ხალხის ღირსება დაიცვეს, მწყობრიდან გამოვიდნენ, თოფები გადმოიღეს, ხიშტებით აჯაგრული ფოლადის კედელი აღმართეს და უცხოელებს გზა გადაუღობეს. ინგლისელები ბარიატინსკის ქუჩაზე უწესრიგოდ დაეშვნენ.

ჟორდანიამ ჯარების დათვალიერება განაგრძო. ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობას რომ მიუახლოვდა, თბილისის გარნიზონის სადარაჯო ბათალიონის ჯარისკაცებს მიესალმა.

ბათალიონმა დუმილით უპასუხა და, „ვაშას" ნაცვლად, რომელიღაც ჯარისკაცმა მწყობრიდან ხმამაღლა და გარკვევით დაიძახა:

— გაუმარჯოს თავისუფალ საბჭოთა საქართველოს!

ეს იყო ფრონტელი ჯარისკაცი, ყოფილი მწყემსი და განთქმული მონადირე, შავგვრემანი, ხელმარჯვე გლეხი შაქრო როსტიაშვილი. იგი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა.

ჟორდანია გაფითრდა და ჯარების დათვალიერება, მისალმება შეწყვიტა, მისალმება რამიშვილმა და ჯუღელმა განაგრძეს. როდესაც ფრონტელმა ჯარისკაცმა ბოლშევიკური ლოზუნგი წამოიძახა, რამიშვილმა ისე შეხედა მას თავისი ავი, ავაზაკური და შემაზრზენი თვალებით, თითქოს გაპობას უპირებსო. მაღალი, გამხდარი, შავწვერა და ფერმკრთალი კაცი შებრუნდა და გარნიზონის უფროსს წასჩურჩულა:

— უბრძანეთ დოყლაპია პოლკოვნიკს ჯიბო მაყაშვილს თავისი უვარგისი და გახრწნილი სადარაჯო ბათალიონი ალლუმიდან გაიყვანოს, ის ბოლშევიკი ჯარისკაცი კი დააპატიმროს. მეამბოხე ჯარისკაცი ხვალ დილით, ქალაქს გარეთ, გარნიზონის ჯარების წინაშე სამაგალითოდ დასაჯეთ!

ტრიბუნის წინაშე ცერემონიული მარშით სვლაში არა მარტო სადარაჯო ბათალიონს, არამედ ჯარის სხვა ნაწილებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა და ისინიც, როგორც ბოლშევიკური აგიტაციით „დაავადებულნი" და არასაიმედონი, ალლუმიდან გაიყვანეს...

* * *

როდესაც სადარაჯო ბათალიონი თბილისის ქვეითი პოლკის ყოფილ ყაზარმებში, ავლაბარს დაუბრუნდა, პოლკოვნიკმა ჯიბო მაყაშვილმა მორიგე ოფიცერს პორუჩიკ სიკო დევდარიანს „დამნაშავე" ჯარისკაცის შაქრო როსტიაშვილის დაპატიმრება უბრძანა და ამის შემდეგ ქალაქში შეშფოთებული გაეშურა.

შტაბის მწერალმა, ყოფილმა სტუდენტმა კაპიტონ ბარბაქაძემ ყური მოჰკრა აღელვებული პოლკოვნიკის ლაპარაკს პორუჩიკთან იმის შესახებ, რომ რამიშვილის ბრძანების თანახმად „დამნაშავე" ჯარისკაცი ხვალ დილით ქალაქს გარეთ უნდა გაეყვანათ და მთელი გარნიზონის წინაშე დაეხვრიტათ. შტაბის მწერალმა ეს ამბავი ამხანაგებს შეატყობინა. მალე „დამნაშავე" ჯარისკაცის მეგობრები, თოფით ხელში, მორიგე ოფიცერთან გამოცხადდნენ და პატიმრის განთავისუფლება მ ო ს თ ხ ო ვ ე ს. მორიგე ოფიცერი უარზე დადგა. მაშინ აღელვებულმა ჯარისკაცებმა კინაღამ დახვრიტეს იგი, გაბრუნდნენ და ყაზარმის საპატიმროსთან მდგარ გუშაგს იარაღი აჰყარეს, თვითონვე გაათავისუფლეს მთელი ბათალიონისათვის გამორჩეული, საყვარელი ჯარისკაცი, ყაზარმა დაავდეს და მიიმალნენ.



საპატიმროდან გამოსულმა ჯარისკაცმა თოფი, ვაზნები წაიღო და ისიც ყაზარმიდან გაიქცა.

მორიგე ოფიცერმა ეს რომ შეიტყო, გუშაგი დააპატიმრა და მერე, სასამართლოში მიცემის შიშით, კინაღამ ატირდა. შავტუხა, ბანჯგვლიანმა და ვეება კაცმა, ზემდეგმა მიხა გაგნიძემ მორიგე ოფიცერთან მიირბინა და უთხრა:

— ბატონო პორუჩიკო, მე ვიცი საით გაიქცა პატიმარი.

პორუჩიკს იმედის ნაპერწკალმა გაუელვა თვალში და ჰკითხა:

— საით?

— იგი რკინიგზის ლიანდაგზე გავიდა, პეტრე-პავლეს სასაფლაოსკენ გაეშურა. იქიდან, ალბათ, სამგორს გადაივლის და კახეთს ჩავა, — შეატყობინა პორუჩიკს „ყოვლისმცოდნე" ზემდეგმა — ყოფილმა მეცხვარემ, მეღვინემ და მევახშემ მიხა გაგნიძემ, რომელსაც როსტიაშვილისაგან დაკრული სატევრის ნაკვალევი კეფაზე აჩნდა.

— კარგია, პატიმარი კახეთს რომ მარტო გაქცეულა, საიდან იცი ყოველივე ეს? — გაუკვირდა პორუჩიკს.

— როსტიაშვილს კარგად ვიცნობ. ის მამიჩემის ყოფილი მოჯამაგირე და მწყემსია, — უთხრა გაგნიძემ. ომიდან რომ დაბრუნდა, მეზობლები ააჯანყა, თავს დაგვესხა, აგვაწიოკა და ჩვენ, ცოტად თუ ბევრად შეძლებულნი, იძულებული გავხდით სოფელი მიგვეტოვებინა. ახლა აქაც მოგვაგნო, დაგვედევნა და არ გვასვენებს. ჩვენს ბათალიონში ნახევარზე მეტი ბოლშევიკები არიან და მათი მეთაური შაქრო როსტიაშვილი გახლავთ. ის აჯანყებს ჯარისკაცებს, — ჩაქოლა როსტიაშვილი გაგნიძემ და მორიგე ოფიცერს შესთავაზა: — ბატონო პორუჩიკო, უნდა დავედევნოთ და შევიპყროთ როსტიაშვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ გაგებინებენ პასუხს.

პორუჩიკი შიშობდა, დრო არ დაეკარგა და ამიტომ ზემდეგის და სამი ჯარისკაცის თანხლებით გაქცეულის შესაპყრობად გაეშურა.

გაგნიძე მართალი აღმოჩნდა, პეტრე-პავლეს სასაფლაოს დარაჯს ენახა სამგორისაკენ მიმავალი ჯარისკაცი.

პორუჩიკი და მისი ჯარისკაცები გაქცეულს გამოუდგნენ. მთა რომ გადაიარეს, ტაფობი გამოჩნდა, სადაც გვალვისა და უდაბნოს ალხიანი ქარისაგან დამშრალი პატარა, მლაშე ტბები მდებარეობდნენ. ირგვლივ არავინ ჩანდა და სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ დეკემბრის ცივი ნიავი წყლის ზედაპირს აციმციმებდა და თევზის ქერეჭის მსგავსი ერთი ციცქნა, სადაფისფერი პატარა ტალღები ნაპირისაკენ გამორბოდნენ.

იმედგაცრუებული პორუჩიკი და მისი მხლებლები მთიდან დაეშვნენ, ტაფობზე გავიდნენ და მიუხვიეს თუ არა, უცბად გაქცეული ჯარისკაცი დაინახეს, რომელიც ბილიკით მთაზე ადიოდა. გაგნიძემ უკან დაიხია და კლდის ქიმს ამოეფარა, ხოლო ჩქარი სიარულისა და სირბილის გამო გაოფლიანებული პორუჩიკი გაჩერდა და გაქცეულს გასძახა:

— როსტიაშვილო, გაჩერდი! სად გარბიხარ?

გაქცეული ისე შეკრთა, თითქოს ზურგში ტყვია დაახალესო, შებრუნდა და პორუჩიკი და შეიარაღებული ჯარისკაცები რომ დაინახა, შედგა და გაშეშდა. მაგრამ მალე გონს მოეგო. მთაზე დაგდებულ ვეება ლოდს იქით საფარში ჩაწვა და გაუჩინარდა. „ალბათ იმ ძაღლმა მიხა გაგნიძემ ასწავლა გზა პორუჩიკს", — გაუელვა მას თავში და თოფი მოიმარჯვა.

გაგნიძე და სამი ჯარისკაციც საფარში ჩაწვნენ. პორუჩიკს ნაგანი ბუდიდან არ ამოუღია, უიარაღოდ გაეშურა გაქცეულისაკენ.

— შესდექ! — გააფრთხილა გაქცეულმა.

პორუჩიკმა ნაბიჯი შეანელა და გასძახა:

— როსტიაშვილო, ყური მიგდე! ბრძანება გაუქმებულია! არავითარი ხიფათი აღარ გელის! დანაშაული გაპატიეს! გამოდი საფარიდან, ყაზარმაში წავიდეთ!

ისინი დიდი მანძილით იყვნენ ერთმანეთს დაშორებული და ამიტომ ხმამაღლა იძახოდნენ. გაქცეულმა პ ო რ უ ჩ ი კ ს ჰკითხა:

— ბრძანება თუ გაუქმებულია, შეიარაღებული ჯარისკაცებით რატომ დამედევნე?

— ეს იმიტომ, რომ თავი არ წააგო და მეც არ დამღუპო! დამიჯერე, როსტიაშვილო, ბრძანება გაუქმებულია! ადექი, წამოდი ყაზარმაში!

იგი შეუჩერებლად განაგრძობდა გაქცეულისაკენ სვლას, მის დარწმუნებას და გადმობირებას. გაქცეულმა საფარიდან გადაიხედა და ქვევით მიწაზე გაწოლილ ჯარისკაცთა შორის გაგნიძე რომ დაინახა, ცუდად ენიშნა და მაშინვე ყველაფერი ნათელი გახდა მისთვის. მიხვდა, პორუჩიკს რომ მისი მოტყუება და ხელში ჩაგდება სურდა და გაშმაგებით უყვირა:

— შესდექ! ნაბიჯიც არ გადმოდგა! შესდექ!

მიუხედავად ამისა, პორუჩიკი აუჩქარებლივ მაინც წინ მიდიოდა, გაქცეულს უახლოვდებოდა და გასძახოდა:

— რა მოგივიდა, გონს მოდი, როსტიაშვილო! დამიჯერე, ბრძანება გაუქმებულია! მე შენი დაღუპვა არ მინდა, დამიჯერე, მერწმუნე!

— შესდექ! ვერ მომატყუებ! მე შენი არა მჯერა! შენ ჩემი მოსისხლე მტერი მგელკაცა მიხა გაგნიძე აგდევნებია! შესდექ! გიბრძანებ! შესდექ! გაგათავე!..

რაც უფრო უახლოვდებოდა პორუჩიკი გაქცეულს, მისი ხმა მით უფრო ხვეწნისა და მუდარის კილოს იღებდა, უილაჯო, სუსტი და შესაბრალისი ხდებოდა, როგორც ხმა სასიკვდილოდ განწირულისა. გაქცეულის ხმა კი, პირიქით, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ბრძანების კილოს იღებდა, ურყევი გადაწყვეტილებით ივსებოდა, დაძაბულობის უკიდურეს წერტილს აღწევდა.

უცებ გაქცეულმა თავზარდამცემი ხმით დაიძახა, თითქოს ქუხილი გაისმაო:

— შესდექ! შესდექ, შესდექ, გესვრი, გესროლე!

ჯარისკაცები შიშმა აიტანა და მეთაურს შესძახეს:

— პორუჩიკო, გამობრუნდით! პორუჩიკო, დაწექით! თავი გაანებეთ, გაუშვით, წავიდეს!

მაგრამ გონებაწართმეული პორუჩიკი ისევ წინ მიიწევდა, თითქოს უხილავი ძალა ეზიდებოდა მას გაქცეულისაკენ. ის მიდიოდა სიკვდილისაკენ თავისივე სილაჩრისა და მშიშრობის გამო. მის ხმაში ახლა მხოლოდ მუდარა გაისმოდა:

— გაგნიძე რა შუაშია! იგი მე თვითონ წამოვიყვანე. დამიჯერე: მე შენს გადასარჩენად მოვედი! არ მესროლო, ხედავ: უიარაღოდ მოვდივარ! ნაგანი ბუდეში მაქვს, რად უნდა გამათავო უიარაღო კაცი? რა მოგივიდა? გონს მოდი, როსტიაშვილო! მისმინე... როსტიაშვილო, როსტიაშვილო...

დაგლახებული ოფიცრის მუდარაში და მისკენ დაჟინებულ სვლაში გაქცეულმა მზაკვრობა, ვერაგობა დაინახა, თოფი გამართა და ორი გასროლით დააწვინა მიწაზე პორუჩიკი სიკო დევდარიანი.

ჯარისკაცები მიწაზე წოლას განაგრძობდნენ. თოფის გასროლის შემდეგ მთაში მეტი სიჩუმე ჩამოწვა. გაქცეულმა ვერ აიტანა ეს პირქუში მდუმარება. გაიფიქრა: მთის კალთაზე ალბათ პორუჩიკის ჯარისკაცები ამოდიანო. თავი ასწია და მართლაც მთის კალთაზე ხოხვით ამომავალი გაგნიძე დაინახა. მან მყისვე თოფი დაუმიზნა, მაგრამ გასროლა არ დასცალდა. თოფებმა ქვევიდან დაიჭექეს და მუხლზე წამოჩოქილი ზემდეგი მიწაზე უსულოდ დაეცა.

გაოცდა გაქცეული და საფარიდან გაფაციცებით გადაიხედა. სამი ჯარისკაცი მთის კალთაზე ჩარბოდა. ისინი წავიდნენ არა ქალაქისაკენ, არამედ მახლობელი სოფლისაკენ—დიდი ლილოსაკენ, გაქცეული მიხვდა, რომ იმ ჯარისკაცებმა, ისე როგორც ყაზარმის საპატიმროდან მისმა გამომხსნელებმა, მენშევიკური ჯარი მიატოვეს. შვება იგრძნო. ისევ გაგნიძის გვამს შეხედა და გაიფიქრა: შენზე არის თქმული — „ნეკერით მაძღარმა თხამ ნახტომი ვერ გაზომაო!

* * *

როსტიაშვილი საფარიდან ახლა უშიშრად წამოდგა. მისკენ ორმოცი ნაბიჯის მოშორებით, მთის კალთაზე, პორუჩიკი სიკო დევდარიანი ხელგაშლილი იწვა.

როსტიაშვილმა მიდამოს გადახედა, მაგრამ პორუჩიკი დევდარიანისა და მოშვებულ ტომარასავით მთის კალთაზე დაგდებული ზემდეგის მიხა გაგნიძის გვამების გარდა არაფერი ჩანდა. მთაში ისევ სიჩუმე იდგა. დეკემბრის ცივი ნიავი აციმციმებდა პატარა ტბებს. თევზის ქერეჭის მსგავსი სადაფისფერი ერთი ციცქნა ტალღები ზღვის ზვირთებს ჰბაძავდნენ, წამოქოჩრილნი, ნაპირისაკენ გამორბოდნენ.

დღე და ღამე იყრებოდა. შორს, მთის თხემის იქით ქალაქის გარეუბანი ჩანდა. უცებ ქალაქში შუქმიმქრალი და მიბჟუტული ფარნები აენთნენ. როსტიაშვილმა ხელი მოავლო თოფს, მხარზე გადაიკიდა და კახეთს მიაშურა...

... ღამით თბილისელებს სოღანლუღის, შავნაბადის და კოჯრის მხრიდან ზარბაზნების გრიალი შემოესმათ. ქალაქს აჯანყებულ მშრომელთა რაზმები და მათ მისაშველებლად მოსული საბჭოთა ჯარები შემოეწყვნენ, უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ შიგ შეიჭრნენ, საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს და საქართველოს დედაქალაქის თავზე რევოლუციის წითელი დროშაააფრიალეს.



**თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის № 3 მექანიკური საამქროს მოწინავე ხარატი მალხაზი კაკაურიძე ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 150-170 პროცენტით ასრულებს.**

ს უ რ ა თ ზ ე: მ. კაკაურიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## გუშინდელი ფოსტიდან

☐ **აბაშის რაიონის მშრომელები** ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. პარტიის რაიკომის ბიბლიოთეკაში მოეწყო ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა, ფოტოდოკუმენტების გამოფენა. გამოფენები მოწყობილია აგრეთვე რაიონების სკოლებში, კოლმეურნეობებსა და საწარმოებში.

ი. თოფურია.

☐ **გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის** საშუალო სკოლის მოსწავლემ ნათელა კაჭილაშვილმა, სახლში რომ ბრუნდებოდა, მდინარეში ჩავარდნილი სამი წლის ბავშვი დაინახა. ყოჩაღი მოსწავლე არ დაიბნა, გათოშილი ბავშვი მდინარიდან ამოიყვანა, მეზობლების შემწეობით დახმარება აღმოუჩინა და შემდეგ საექიმო პუნქტში მიიყვანა. ბავშვი ახლა კარგად გრძნობს თავს.

გ. კოშორიძე.

☐ **სადგურ ქუთაის პირველის** კოლექტივმა იანვრის შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზაზე პირველი ადგილი დაიკავა. კარგად იმუშავა კოლექტივმა თებერვალშიც — დავალება 20 თებერვლისათვის გაანაღდა. ამ წარმატებათა მოპოვებაში თავი გამოიჩინეს სადგურის მორიგეებმა მ. ჭარხალაშვილმა, ა. ფასირიძემ, გ. დემეტრაძემ, შემდგენლებმა ს. ბრეგაძემ, შ. ცეცხლაძემ და სხვ.

ი. ბუხაიძე.

☐ **უზაფათის ჩაის ფაბრიკის** კოლექტივმა დროულად დაიწყო მზადება ახალი სეზონისათვის. კოლექტივის მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად ამჟამად ფაბრიკა მზად არის ნედლეულის მიღებისათვის. ახალი ტექნოლოგიური ხაზი მოეწყო ცხაკაიას ჩაის ფაბრიკაში. აქ განხორციელდა აგრეთვე არსებულ დანადგართა მოდერნიზაცია.

ს. კუჭავა.

☐ **საექსპლოატაციოდ გადაეცა სამტრედიის** კერამიკული მილების ქარხანა. საწარმო წლიურად ასობით ტონა კერამიკულ მილებს გამოუშვებს. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის ამჟამად მიმდინარეობს საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, საწარმოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

შ. მაღლაკელიძე.

# რუისპირელი ვარსკვლავები



თავმჯდომარე უთენია ჩამოუყვა თურდოს ხეობას, ორღარიანი წისქვილი დადუმებული რომ ნახა, არ ესიამოვნა, თუმცა საწყენიც არ იყო, რუისპირელ კოლმეურნეებს მარტო ერთი წისქვილი როდი აქვთ... აქ თუ წყლის ნაკლებობაა, ელექტროენერგიით მომუშავე წისქვილი ხომ დღეღამის განმავლობაში მუშაობს!

მნახველების გულს ახარებს თეთრადშეფეთქილი სკოლის, კულტურის სახლის ნაგებობანი... ყოველივე ეს სიკეთე რუისპირელ კოლმეურნეთა უნარიანი შრომის ნაყოფია.

კოლმეურნეები მიღწეულს არ ჯერდებიან. შვიდწლედის მეორე წელში სერიოზული საბრძოლო ზღუდეებია ასაღები, განსაკუთრებით ბევრი უნდა გავაკეთოთ მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

ამ ფიქრით აიარა კანტორის კიბე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ძამუკაშვილმა. აივანზე მას ცხრამეტი წლის გოგონა ანა კობაიძე შეეგება.

— ჩემთან იქნები, არა? — ჰკითხა ქალიშვილს.

— კი, თქვენ გელოდებოდით, — სხარტად უპასუხა დამხვდურმა და მოკეცილი ქაღალდი გაუწოდა. თავმჯდომარემ სათვალე მოიმარჯვა, პირველად ავტორთა გვარებს მოავლო თვალი: კობაიძე ანა, კობაიძე ნინო, ყველაიძე თამარ, ზაქაიძე მარო, ბურდული ლარისა, ბურდული ლიდა.

— რა ამბავია, ვარსკვლავებივით რომ ჩამოგირიგებიათ გვარები? — გაკვირვებით ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ.

— რაო, რაო! მეცხოველეობის ფერმაში წავალთ მწველავებადო... და მერე ვინ! ორმოცდაათი წლის მამაკაცები მყავს პირუტყვის მომვლელებად და მარცხვენენ, ერთ ძროხაზე 1.000 კილოგრამზე მეტ რძეს ვერ იღებენ. თქვენ ორი დღის წინ დაგიმთავრებიათ საშუალო სკოლა და ახლა გინდათ ქვეყანა ააშენოთ? თავმჯდომარემ ცეცხლად შეხედა ლოყააწითლებულ ქალიშვილს, განცხადება მინის ქვეშ ამოდო და უთხრა, საღამოზე გამგეობის სხდომაზე ვიმსჯელებთო...

ისინი ფერმაში მიიღეს...

რუისპირელი ქალიშვილების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფელს, რაიონს. ახლა მათ გმირულ შრომაზე ლაპარაკობენ თეთრწყლელი ხევსურებიც. სალაპარაკოა, აბა მაშ რა არის! თვითეული მათგანი ფერმაში ჯარასავით დატრიალდა, უსუფთაობა იყო პირუტყვის სადგომში, მწყემსთა საცხოვრებელში, ყველას ნათელი დააყენეს.

...ერთ დღეს თამარ ყველაიძემ შეამჩნია, რომ ძროხა „ვიუგა" საკვებს ზანტად ჭამდა. თამარმა თანამოსაქმეებს იხმო და აჩვენა. მათ ეგონათ, რომ ძროხა ავად იყო, მოიყვანეს ვეტექიმი, მაგრამ სულ სხვა გაირკვა: „ვიუგა" ცოტა-ცოტასა და ხშირად ჭამას მოითხოვდა. ეს ჭეშმარიტება ქალიშვილებმა ირწმუნეს. ამის შემდეგ სხვადასხვა ძროხების მოვლა-პატრონობის თავისებური მეთოდი შეიმუშავეს. ამას ხასურველი შედეგიც მოჰყვა. თვითეულმა მათგანმა 8 ძროხის მოვლა იკისრა. თუ ერთ ძროხაზე 2.000 კილოგრამი რძის მიღება იყო ნავარაუდევი, მათ იმდენი იყოჩაღეს, რომ ძროხის საშუალო წველადობამ 2.500-2.600 კილოგრამს გადააჭარბა.

მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს თამარ ყველაიძემ და ლარისა ბურდულმა. თამარმა თვითეულ ძროხაზე 2.702 კილოგრამი რძე მიიღო, ლარისამ კი— 2.651 კილოგრამი. მათი შრომა დაფასდა, თამარს პრემიად 1.070 კილოგრამი რძე ერგო, ლარისას — 1.000 კილოგრამი.

წველადობაში თავი ისახელეს აგრეთვე ანა კობაიძემ, მარო ზაქაიძემ. თვითეულ ძროხაზე მათ 2.600 კილოგრამზე მეტი რძე მიიღეს. რეკორდსმენი ძროხები „ლინევაია", „ვიუგა" და სხვ. 3.500-3.700 კილოგრამ რძეს იძლევიან.

გასულ წელს კოლმეურნეობამ წველადობის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. რუისპირელმა მეცხოველეებმა ადგილობრივი ჯიშის ძროხების წველადობა 300-400 კილოგრამით გაზარდეს და რაიონში პირველ ადგილზე არიან. რუისპირელ ქალიშვილებს კი შვიდწლედის ვარსკვლავები შეარქვეს.

ვ. ყუშიტაშვილი.

• • •

სურათზე: ლარისა და ლიდა ბურდულები.

# ხალხი მღერის

**ყველა** ბედნიერ დღეს ხალხი სიმღერით ეგებება, ყველაზე რჩეული და ბრალი სიმღერით.

რა შეედრება სამშობლოს ბედნიერების დღეს! ასეთ დღედ ქართველ ხალხს 25 თებერვალი დაუდგენია...

ჩვენი საყვარელი საქართველოს, ახალი საქართველოს ოცდამეცხრამეტე წლისთავს გამარჯვებული ხვდება ქართველი ხალხი, რომელსაც თავისი ნიჭით, შრომითა და მხნეობით უსახელებია თავი.

25 თებერვლისათვის რედაქცია ყოველთვის უამრავ ლექსს იღებს ხოლმე. ცხადია, ამ პატარა წერილში ყველა ლექსს ვერ მიმოვიხილავთ. ერთი კი უნდა ითქვას, ამ ლექსებს წერენ არა პოეტები, არამედ უბრალო მშრომელი ადამიანები — მაღაროელები, მწყემსები, მასწავლებლები, ექიმები... ყველას ერთი სურვილი აქვს — რაც შეიძლება ლამაზად თქვას სამშობლოს სადიდებელი. უმღერიან მზეს, გაზაფხულს, წყალუხვ მდინარეებს... იმ ცხოველმყოფელ ძალას, რომელმაც გარდაქმნა დედამიწა და ნათელი იმედი დაამკვიდრა ქვეყნად.

**„მღერის მტკვარი და მღერის რიონი,**
**მღერის ჰალარა კავკასიონი...**
**ცად აზიდული სართულ-სართულად,**
**თამადასავით წამომართულა..."**

წერს მაიაკოვსკელი ზ. ებანოიძე. ხოლო თბილისელი მ. ფარულავა, თითქოს ამ ამღერებულ მტკვარსა და რიონს, ცადაზიდულ კავკასიონს მიმართავს:

**„მე, საქართველოვ, ცა მოგწმენდია,**
**მინდა თებერვალს ვუმღერო ხშირად**
**და მივესალმო გაზაფხულს დიადს,**
**ვინც გამარჯვებებს დაგვაკავშირა".**

„პარტიას და ხალხს დიდება" — ასე უწოდებია თავისი ლექსისათვის ზუგდიდელ ან. არანიას. მას საყვარელი სამშობლოს წინსვლა ამომავალი მზისათვის შეუდარებია:

**„ვძლიეთ ქარიშხალს,**
**ყინვას და თოშსა,**
**სამშობლო მხარე მზისკენ დავძრით".**

ჩვენი ადამიანების გმირობას, სამშობლოსათვის თავდადებას უმღერიან თავიანთ ლექსებში ოკამელი ე. ჩიტაშვილი, დუშეთელი გ. აფციაური, ლაილაშელი ნ. ფრუიძე, კასპელი გრ. გუჯაბიძე.

„პარტიამ მოგვცა" ასე ჰქვია ე. ჩიტაშვილის ლექსს... წინათ წყალი ენატრებოდა მიწას, მოსავალი ხმებოდა და იბუგებოდა, ახლა კი ადამიანებმა მჩქეფარე ქსანი თეზ-ოკამის არხის დაუშრეტელ წყაროდ აქციეს და ბალახმა კი არა, ვაზმაც იხარა ოდესღაც გადაბუგულ მიწაზე. გ. აფციაური თავის ლექსში თეთრწყაროელების და რიაზანის ოლქის სასოვოს მშრომელთა მეგობრულ შეჯიბრებას უმღერის. ლექსს იგი საბჭოთა საქართველოს ოცდამეცხრამეტე წლისთავს უძღვნის. ამ თითქოს უბრალო ამბავში მოხდენილად არის მიგნებული ის მთავარი და ახალი, რითაც იმარჯვებდა საქართველო თავის მეგობრებთან და ძმებთან ერთად ამ ოცდაცხრამეტი წლის მანძილზე...

**„დანიშნულ დროზე ლაჯანურს**
**ესმა ცხენისწყლის ძახილი:**
**— მოვდივარ, ძველო ძმობილო,**
**მომაქვს სურვილი ნათელი —**
**შუქი შევმატოთ კომუნიზმს,**
**ბნელ ღამის მიმომფანტველი".**

ეს სტრიქონები ნ. ფრუიძეს ეკუთვნის. მის ლექსს „ლაილაშელთა სიხარული" ჰქვია. ლაჯანურჰესი მეტად კარგი საჩუქარია, რომელიც ჩვენმა ადამიანებმა ოცდაცხრამეტი წლისთავზე მიართვეს სამშობლოს, ამბობს ავტორი. ნამდვილად ასეა. ჩვენი ადამიანების ამ გმირულმა შემართებამ წაიყვანა საქმე წინ და სიხარულის შუქი მოჰფინა ცხოვრებას.

დიდი ლენინის მიერ ანთებული კოცონი საქართველოშიც აგიზგიზდა და გაახარა მშრომელთა გული, წერს თბილისელი ნ. ცინცაძე, ხოლო ხაშურელი მოსწავლე თ. ელიაშვილი მიმართავს ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც „იხსნა სამშობლო გმირი და მრავალნატანჯი":

**„შენი სითბო, ალერსი**
**მზისებრ გვზრდიდა პატარებს.**
**შენს დიდ სახელს ვიფიცავთ**
**შენს სიყვარულს ვატარებთ".**

ამ გულწრფელ ნათქვამში მრავალთა მოგუგუნე ხმა ისმის...

სამშობლოს ბედნიერ მომავალს, პარტიის ძლიერებას უმღერიან თავიანთ ლექსებში გურჯაანელი გ. ტურაშვილი, საჩხერელი შ. ბარბაქაძე, თბილისელები გ. მეგრელიშვილი და გ. ბიჭიკაშვილი, ლაგოდეხელი ა. ავეტიკოვი, ნატანებელი ვლ. ჩხიტუნიძე, ბათუმელი გრ. აფხაზავა.

**„პარტიავ, ჩემო მშობელო დედავ!**
**მთელი მსოფლიოს მომავალს**
**ხედავ..."**

წერს თბილისელი ი. ნებაძე.

რამდენი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, როცა ათი და ასი კი არა, ათასი და ასი ათასი მღერის... როცა თვით ხალხი მღერის გულში ჩამწვდომ ხმატკბილ სიმღერას სამშობლოს ბედნიერებასა და მომავალზე.

# საბჭოთა საქართველოს დღე

## ახალი ამბები — ცნობები, ფაქტები

☐ კრედიტები მშენებლობას. ☐ ფეიქართა ღამის სანატორიუმი. ☐ მევაგონეთა ანსამბლი. ☐ ავტომატური ტელეფონის ახალი სადგური. ☐ სახალხო თეატრი ჩოხატაურში. ☐ იშვიათი ოპერაცია. ☐ ხოხბის მეურნეობა.

**ტყიბული.** სახელმწიფოსაგან დიდ კრედიტებს იღებენ კოლმეურნეობები და ინდივიდუალური ბინათმშენებლები. შარშან სახბანკის ტყიბულის განყოფილებამ საკოლმეურნეო ბოსლის მშენებლობისათვის 30.000 მანეთი კრედიტი მისცა ახალსოფლის კოლმეურნეობას. სოფლის ელექტროფიკაციისათვის 45.000 მანეთი მიიღეს ჭვარისის, ახალდაბისა და ძმუისის კოლმეურნეობებმა.

გასულ წელს 70.000 მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიეცათ ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს. საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის შვიდ-შვიდი ათასი მანეთი მიიღეს სესხად შაორის გეოლოგიური პარტიის მუშებმა მ. ჯმუხაძემ და ვ. ბუცხრიკიძემ, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა თ. სოფრომაძემ და ვ. ზოსიაშვილმა; მასწავლებელმა ბ. აბესაძემ სესხად მიიღო 10.000 მანეთი. კრედიტები მიიღეს აგრეთვე მასწავლებლებმა თ. ბუბაშვილმა, გ. ყიავაძემ, ექიმმა შ. ობოლაძემ და სხვებმა.

რაიონის კოლმეურნეობები წელს სახელმწიფოსაგან 360.000 მანეთ კრედიტს მიიღებენ.

**ნ. ჯინჯიხაძე.**

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ამ ერთი წლის მანძილზე, რაც აბრეშუმკომბინატში ღამის სანატორიუმი გაიხსნა, აქ სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ სამასზე მეტმა ფეიქარმა დაისვენა და იმკურნალა. სანატორიუმში ოცდაოთხდღიანი საგზურებით ერთდროულად ისვენებს 25 კაცი.

პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის საგზურებით ღამის სანატორიუმში თებერვლის ბოლომდე ისვენებენ მქსოველები ს. ლომსაძე, ე. გურგენიძე, ა. საფრონოვა, პარკის მხარშავები ნ. გიორგაძე, ჯ. კაჭარავა, მ. ჭანტურია, მემასრე ვ. ჩუმაკოვა და კომბინატის სხვა მოწინავე ფეიქრები.

— **სიმღერა** თბილისზე, კომპოზიტორ მილორავასი. ასრულებს ხაშურის სავაგონო დეპოს სიმღერის ანსამბლი, — აცხადებს კონფერანსიე.

კიდევ რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა ანსამბლმა ამ დღეებში ხაშურის რაიონულ კულტურის სახლში გამართულ კონცერტზე და ყოველი სიმღერის დასასრულს დარბაზი ტაშით აჯილდოებდა მუშა მომღერლებს.

ყოველ პარასკევს და შაბათს მუშაობის დამთავრების შემდეგ დეპოს წითელ კუთხეში გაისმის ქართული სიმღერები, ეწყობა მეცადინეობა. ანსამბლში 40-ზე მეტი კაცია, მისი სოლისტები არიან ზეინკალი ო. კვირიკაძე, მუშა ვ. სადღობელაშვილი და სხვები.

**დ. ფარემუზოვი.**

**სოხუმი.** (საკ. კორ.). აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ავტომატური ტელეფონის ახალი სადგური, რომლისთვისაც აგებულ იქნა სამშართულიანი შენობა.

ახალი სადგური, რომელიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით, მთლიანად უზრუნველყოფს სოხუმის და მის ირგვლივ მდებარე კოლმეურნეობათა მოთხოვნილებას.

ახალ შენობაში მოწყობილია საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური და სალაპარაკო პუნქტი.

მშენებლობისა და მონტაჟისათვის დახარჯულია 6 მილიონი მანეთი.

**ჩოხატაურს** კარგი თეატრალური წარსული აქვს. საკმარისია აღინიშნოს, რომ წინა წლებში აქ წარმატებით მუშაობდა სახელმწიფო თეატრი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი ძალებით იყო დაკომპლექტებული. ამ თეატრის სცენაზე აღიზარდა ბევრი მსახიობი, რომლებიც ახლა რესპუბლიკის მოწინავე თეატრებში მუშაობენ. ასეთებია: საქართველოს სახალხო არტისტი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. მგელაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. ჯალაღანია და ი. კალანდაძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ნ. კეჟალმაძე და სხვები.

წელს ჩოხატაურში ჩამოყალიბდა სახალხო თეატრი (რეჟისორი ვ. ღამბაშიძე), რომელმაც ჩოხატაურელებს წარმატებით უჩვენა პირველი სპექტაკლი — შ. ბათიაშვილის პიესა „ოქროს სათუთუნე". როლებს კარგად ასრულებდნენ ლ. კობიძე, ვ. ღამბაშიძე, ლ. პაიჭაძე, ჟ. ჩხიკვაძე, გ. მეგრელიძე და სხვ.

მოწონება დაიმსახურა სპექტაკლის მხატვრულმა გაფორმებამ, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ გ. ნინიძეს ეკუთვნის.

ჩოხატაურის სახალხო თეატრის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ამ სეზონში მაყურებელს უჩვენოს ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი", ვ. გუნიას „და-ძმა" და გ. კანდელაკის „ერთხელ დახოცილები". თეატრი მოემსახურება რაიონის სოფლის მშრომელებსაც.

**გ. ახალაია.**

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). ზუგდიდის რაიონის საავადმყოფოში მოიყვანეს 65 წლის მოხუცი კოლმეურნე, სოფელ რიყეს მცხოვრები ა. დარასელია. მოხუცს აღმოაჩნდა ნაღვლის ბუშტის მწვავე ჩირქოვანი ანთება მუცლის ღრუში ჩირქის გაჟონვით.

ავადმყოფობა მოითხოვდა რთულ საოპერაციო ჩარევას. ოპერაციის გაკეთება დაევალა ახალგაზრდა ქირურგს კ. შაფთავას. ქირურგმა ავადმყოფს ამოჰკვეთა მკვეთრ ანთებად მდგომარეობაში მყოფი ნაღვლის ბუშტი, რომელიც შეიცავდა 100-ზე მეტ სხვადასხვა ზომის კენჭს.

ასეთი სახის ოპერაცია პირველი შემთხვევაა ზუგდიდის რაისაავადმყოფოს ისტორიაში.

**ჭაობების** ტყვეობისაგან განთავისუფლებულ კოლხიდის ბარაქიან მინდვრებზე ბლომად შეხვდებით მრავალწლიან მცენარეთა ტყე-პარკებსა და სანერგეებს. ერთ-ერთი ასეთია ყორათში არსებული კოლხიდის სატყეო მეურნეობის ლამაზი ტყე, რომელსაც 400-მდე ჰექტარი უჭირავს.

ახლა აქ დაარსდა ხოხბის საჯიშე მეურნეობა, რომლის მოწყობაზე 200 ათასი მანეთი დაიხარჯა. ხოხბებისათვის აიგო 4 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საუცხოო ბინა და სხვა დამხმარე ნაგებობანი. ჯერჯერობით ჰყავთ 20-ზე მეტი ხოხობი, ხოლო უახლოეს ორ-სამ თვეში მათ რიცხვს 300-მდე აიყვანენ, ხოლო წლის ბოლომდე მიიღებენ 1.500 წიწილას.

აქვე ეწყობა კოლხიდის ფაუნის ულამაზესი ბინადრის — შვლის ნაკრძალი. (საკ. კორ.).


ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას მსოფლიოში იცნობენ. ბალეტის ოსტატები ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ამ უკანასკნელ ხანს დიდი წარმატებით გამოვიდნენ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში.

ქართული საბალეტო ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვერა წიგნაძე, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი.

სურათზე: ვერა წიგნაძე.

## XXVII ჩემპიონატი



**ლენინგრადი, 24 თებერვალი.** (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). როგორც ვიუწყებოდით გუშინ რამდენიმე გადადებული პარტია არ დამთავრებულა, კვლავ გადაიდო. ამ პარტიების დამთავრება მოეწყო დღეს, ამასთანავე გათამაშდა ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის გამოტოვებული პარტია.

სსრ კავშირის ჩემპიონი ტ. პეტროსიანი ი. ავერბახთან დამარცხების შემდეგ წარმატებით იბრძოდა ბ. სპასკის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. გროსმაისტერი მ. ტაიმანოვი ბრძოლის განუახლებლად დანებდა ლ. შამკოვიჩს, ხოლო ა. სუეტინმა მოუგო ვ. ლიბერზონს. ბ. გურგენიძისა და ი. ავერბახის გადადებული პარტია 68-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

უკანასკნელი ტურის წინ, რომელიც 25 თებერვალს გაიმართება, ჩემპიონატის მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ვ. კორჩნოის აქვს 13 ქულა, ტ. პეტროსიანს და ე. გელერს — თორმეტნახევარ-თორმეტნახევარი ქულა, ვ. ბაგიროვსა და ლ. პოლუგაევსკის — თერთმეტ-თერთმეტი ქულა. მ. ტაიმანოვსა და ი. ავერბახს — ათნახევარ-ათნახევარი ქულა, ვ. სმისლოვსა და ნ. კროგიუსს — ათ-ათი ქულა, ბ. სპასკის — 9,5 ქულა, დ. ბრონშტეინს 9 ქულა, ა. ლუტიკოვსა და ვ. სიმაგინს — რვანახევარ-რვანახევარი ქულა, ი. ნეის — 7,5 ქულა, ლ. შამკოვიჩსა და ე. გუფელდს — ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა, ბ. გურგენიძეს, ვ. ლიბერზონსა და ა. სუეტინს—ექვს-ექვსი ქულა, ი. სახაროვს — 5 ქულა.

# საღღეგრძელო საქართველოში

◊ გასულ წელს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურული ჟურნალის „სეტერდი რევიუს" რედაქტორი ნორმან კაზინსი, რომელმაც რამდენიმე დღე დაჰყო საქართველოში. ქვემოთ ვაქვეყნებთ მის შთაბეჭდილებებს, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „სეტერდი რევიუს" გასული წლის 8 აგვისტოს ნომერში.

მთელ დღეს გადაუღებლად წვიმდა. როცა მიწა ტენით გაძღა, წყალი გორაკებიდან ძირს დაექანა და ხეობებში დაგროვდა. გადარეცხილი გზებით იგი ისე მიდიოდა, როგორც რაბებით. მძიმე ტვირთის გამო ცამ დაბლა დაიწია.

ჩვენ მანქანით მივდიოდით თბილისიდან, საბჭოთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქიდან, საქართველოს აღმოსავლეთ კუთხისაკენ, სადაც ევროპა და აზია ერთმანეთს ხვდებიან შუა აღმოსავლეთში. მივდიოდით საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც დაახლოებით 120 მილზეა თბილისიდან, სომხეთის საზღვრის ახლოს.

და აქ უცებ დაბრკოლება გადაგვეღობა.

თბილისიდან სამი საათის სიარულის შემდეგ ჩვენი შოფერი მიადგა მოსაბრუნებელ გორაკის ძირთან. მან მანქანა შეაჩერა და თავი გაიქნია. ხიდი არ იყო.

ჩვეულებრივ აქ არავითარ სიძნელეს არ ხვდებოდნენ, რადგან მდინარის ფსკერი მშრალი იყო გასულ ზამთარს აქეთ; ამ რაიონში მუდმივი წვიმები არ ყოფილა რამდენიმე თვის განმავლობაში და მანქანებს შეეძლოთ გადასულიყვნენ ქვიან კალაპოტზე. მაგრამ ახლა, უეცარი დიდი წვიმის შემდეგ, მდინარის სწრაფ წყალს ღრმა არხები დაეთხარა.

ამასობაში თითქმის მთლად დაბნელდა, მაგრამ გავარჩიე ჩაფლული სატვირთო მანქანის კონტურები. მას დაეპირებინა მეორე ნაპირზე გასულიყო, მაგრამ ქვიანი კალაპოტიდან ჩასვლისას ტალახში ჩაფლულიყო და ახლა მეორე სატვირთო მანქანა ცდილობდა იგი ბუქსირზე აეყვანა.

ჩვენს წინ კიდევ რამდენიმე ავტომობილი გაჩერებულიყო მდინარის ამ ნაპირზე და ახლა ისინი სხვადასხვა მხარეს იყვნენ მიბრუნებული. შოფრები თათბირობდნენ, ზოგჯერ კამათობდნენ ღირდა თუ არა მდინარეზე გასვლის ცდა, ან სად შეიძლებოდა გასვლა.

მე ის მაწუხებდა, რომ ჩვენსა და მეორე ნაპირს შუა ოთხი ცალკეული ნაკადი მაინც იყო. გარდა ამისა, მდინარეც რომ არ ყოფილიყო ადიდებული, უზარმაზარი ქვები და ღრმა ორმოები ცოტა ყურადღებას როდი მოითხოვდა, რომ ავტომობილსა და მგზავრებს არაფერი დაშავებოდათ. მე მივმართე ჩემს თარჯიმანს და თავაზიანად ვუთხარი, იქნებ უკან გაბრუნება სჯობდეს-მეთქი.

მოგზაურობაში ჩემი კომპანიონები იყვნენ ჩემი თარჯიმანი იგორი, ქართველი ისტორიის მასწავლებელი და ჩვენი შოფერი — ქართველი. ეს წინადადება რომ გამოვთქვი, იგორმა საყვედურით გამომხედა: „თქვენ ალბათ დაგავიწყდათ, რომ მანქანა ქართველს მიჰყავს", — მითხრა მან. მას ჩემი ფრთხილი შენიშვნები არც კი გადაუთარგმნია.

ის, რაც იგორმა ქართველების შესახებ მითხრა, ლიტონი სიტყვები როდი იყო, ვინაიდან საუკუნეების განმავლობაში ქართველებს უხდებოდათ ბრძოლა თავიანთი სიცოცხლისა და სახლ-კარისათვის ჩინგიზ-ყაენის, მონღოლების, თურქების, სპარსელების, რომაელებისა და გერმანელების წინააღმდეგ. ახლა პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ ხიდი არ არსებობდა, ხოლო ძლიერი წვიმების შედეგად მდინარე ადიდებულიყო...

სუნთქვა შემეკრა, როცა დავინახე, რომ ერთ-ერთი წინა მანქანა მეორე ნაპირისაკენ გაექანა. შოფერმა მანქანა წაიყვანა პირდაპირ ქვიანი კალაპოტით და სწრაფად მიადგა პირველ ნაკადს. შემდეგ მან იპოვნა ის, რასაც ეძებდა, და მკვეთრად შეაგდო მანქანა ნაკადში. სხვა მანქანებიდან ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, როგორ გაექანა წინ პირველი მანქანა. წყალი მანქანას თვლების ღერძებამდე სწვდებოდა. შემდეგ მანქანა წყლიდან ამოვიდა და შოფერმა შეცვალა მიმართულება, იგივე მანევრი გაიმეორა მეორე ნაკადში, ხოლო შემდეგ კალაპოტისაკენ მიაბრუნა მანქანა და თვალს მიეფარა.

„ჩვენ იმ მანქანას გავყვებით" — თქვა ჩვენმა შოფერმა.

სანამ პირველ ნაკადს ვუახლოვდებოდით, ვფიქრობდი მხოლოდ იმ ეპიზოდზე, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ლოსანჯელოსში შემემთხვა. წყალდიდობის გამო ქალაქი წყლით დაიფარა. ამ დროს ტაქსით აეროდრომზე მივდიოდი. ერთ-ერთ გზაჯვარედინს რომ მივადექით, დავინახეთ, რომ იქ მდგომი მანქანები ას მეტრზე გაჭიმულიყო. გზაჯვარედინი წყლით იყო დაფარული. შოფერმა მკითხა, მნიშვნელოვან საქმეზე მიდიხართ თუ არაო. მე ვუპასუხე, საღამოს სან-ფრანცისკოში ლექცია უნდა წავიკითხო-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ მან შემოუარა ავტომანქანების რიგს და შეიჭრა ნაკადში დიდი სატვირთო მანქანის უკან. ნახევარი გზა გვქონდა გავლილი, როცა წყალმა მანქანის ფსკერში შეაღწია. მოტორი ჩაქრა ისე, რომ არც კი დაუხრიალია. ტაქსის შოფერმა ფეხსაცმელი და წინდები გაიხადა, შარვლის ტოტები დაიკარწახა, მანქანიდან გადმოვიდა და მითხრა ზურგზე შევჯდომოდი. მას უნდოდა გადავეყვანე მეორე მხარეზე, სადაც შემეძლო მეშოვნა სხვა ტაქსი. მისი ვარაუდით კიდევ შემეძლო მომესწრო, თუ ვიჩქარებდით. ისე მოვიქეცი, როგორც მან მითხრა. შოფერმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ფეხი დაუსხლტა. ორივენი წყალში ჩავვარდით და რამდენჯერმე გადავბრუნდით, სანამ შევძლებდით ფეხზე წამოდგომას. თვითმფრინავზე დამაგვიანდა.

• • •

ახლა, ოთხი თვის შემდეგ, მოულოდნელად დამებადა აზრი, ლოს-ანჯელოსში ტაქსის შოფერი ქართველი ხომ არ იყო-მეთქი. ყოველ შემთხვევაში კალიფორნიის ეპიზოდი გარდუვალად გამახსენდა, როცა სატვირთო მანქანას გავყევით. დიდი განსხვავება, რა თქმა უნდა, იმაში მდგომარეობდა, რომ ამჯერად დროით არ ვიყავი შებოჭილი. ჩვენ შეგვეძლო დილას მივსულიყავით საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ ჩვენ ქართველების სტუმრები ვიყავით, ამათ კი არ უნდოდათ ასე იოლად დაეყარათ ფარ-ხმალი.

ჩემი შიში შეცვალა ჩვენი შოთერით აღტაცების გრძნობამ, როცა მან წარმატებით გადალახა სამი ნაკადი. მანქანის კაპოტი ტალახით ამოილესა. თვლებით გატყორცნილი ქვები ქვემოდან ურახუნებდა ავტომობილის ძირს. ჩვენ კი განვაგრძობდით გადასვლას. როცა მეოთხე ნაკადს მივადექით, უკანა თვლები ტალახში ჩაეფლო და გავჩერდით.

ჩემს თავს შევეკითხე: რამდენ ხანს გაუძლებს მანქანა, წყალმა რომ მომაიტოს-მეთქი. წვიმა და ძლიერი ქარი არ წყდებოდა. დაბნელდა. შორს წინ დავინახე ორი ჩაფლული მანქანის სინათლეები. ჩვენს უკან მანქანები არ იყო. ჩვენმა შოფერმა ხელსაყრელებზე დაიფრთხა და მაგრად ჩასჭიდა [illegible]

უკან. მალე მან ჩაიცინა, როგორც გამარჯვებულმა, როცა თვლები გრუნტს შეეხო. ჩვენ უკუსვლით წავედით, სანამ ქვები ისევ არახუნდებოდა მანქანის ძირზე. შემდეგ შოფერმა ორი თუ სამი დიდი წრე გააკეთა, საკმაოდ დიდი სისწრაფით გადაკვეთა რამდენიმე ნაკადი, და ჩვენ გზა განვაგრძეთ. მე შევხედე იგორს და ოდნავ დავუსტვინე, შევებასა და შოფერის გმირობით გაოცების შერეული გრძნობით გამსჭვალულმა. ერთი წუთის შემდეგ იგორს ვთხოვე გადაეცა შოფრისათვის ჩემი მილოცვა.

„მე მას მივულოცავ, რომ მშვიდობიანად გამოგვიყვანა, — მიპასუხა იგორმა, — მაგრამ ეს ტაქტით უნდა გაკეთდეს. თქვენ, ალბათ, დაკარგეთ მიმართულების გრძნობა. ჩვენ არ გადავსულვართ მდინარეს. უკანასკნელ ნაკადთან შოფერმა გადაწყვიტა უკან დაეხია. ჩვენ თბილისში მივდივართ. მე არ მინდა, შოფერმა იფიქროს, რომ ჩვენ ირონიით ვეუბნებით მადლობას".

რა ბედენაა, წინ მივდიოდით თუ უკან, კარგი ის იყო, რომ წყლიდან მშრალი ამოვედით. მაგრამ უკვე გვიან იყო, ძალიან გვიან, წვიმა კი ისევ მოდიოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებდით, რომ ამ ღამით გაგვევლო მთელი გზა თბილისამდე. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დავაპირებდი ამის შესახებ კითხვის მიცემას, ქართველმა მასწავლებელმა შოფერს სთხოვა გაეჩერებინა მანქანა. შემდეგ იგი წავიდა, რათა დაერეკა და ცდილიყო ეშოვნა ღამის გასათევი ადგილი.

სანამ მას ველოდით, მე გამოვკითხე ამბავი ჩვენი ავტომობილისა, რომელიც რუსეთშია გაკეთებული. ავტომობილი შესანიშნავი იყო, იგი თითქმის სასწაულებს ახდენდა. მუხრუჭები წყლის შემდეგ ისევ კარგად მუშაობდა. მანქანამ უძლიერეს ბიძგებს გაუძლო. წევა და მდგრადობა შესანიშნავი იყო. მოტორი არ გადახურებულა, მიუხედავად გრძელი აღმართისა და დატვირთვისა. გარდა ამისა, გამოვარკვიე, რომ ნაკადში წყლის დონე მანქანის ძირზე მაღალი იყო, მაგრამ მანქანა ისეა კონსტრუირებული, რომ ჰერმეტული ხდება, თუ დახურულია კარი და საბარგე. ამერიკული სტანდარტების მიხედვით ეს მანქანა პატარაა, მაგრამ მას შეუძლია თუ ფუფუნებით არა, კომფორტაბელურად დაიტიოს 5-6 მგზავრი. გარდა ამისა, მას აქვს თვისება, რომელიც არა აქვს მეტ წილ ამერიკულ მანქანებს, რომლებიც უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაშია დამზადებული, — იგი კონსტრუირებულია ფეხებიანი ადამიანებისათვის. მუხლები ნიკაპთან არ მქონია მიტანილი ან წინა საჯდომის საზურგეზე მიბჯენილი. მე შემეძლო ნორმალურად და მოხერხებულად გამეშალა ფეხები ან ფეხი ფეხზე გადამედო. შოფერის ფეხი არ ხვდებოდა საჭეს, როცა მას იგი აქსელერატორიდან მუხრუჭზე გადაჰქონდა.

მე შევიტყე, რომ ეს არის „ვოლგის" ტიპის მანქანა და იყიდება დაახლოებით 3.000-მდე დოლარად სტანდარტული გაცვლითი კურსით სსრ კავშირის შიგნით.

ისინი შედარებით ცოტა იყიდება ინდივიდუალური სარგებლობისათვის, მეტი წილი განკუთვნილია ტაქსომოტორების პარკებისა და ორგანიზაციებისათვის. ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალობაზე ეს მანქანა სულ უფრო მეტი რაოდენობით გადაეცემა ინდივიდუალური გაყიდვისათვის, თუმცა ამას შეიძლება რამდენიმე წელიწადი დასჭირდეს.

ბევრს შეუძლია შეიძინოს ასეთი მანქანა? პასუხი უთუოდ დადებითი უნდა იყოს. საბჭოთა კავშირში დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ხალხი უფრო მეტი შეძლებულობისაკენ მიდის, ვიდრე ეს როდისმე წინათ ყოფილა მის ისტორიაში. რევოლუციის შემდეგ განვლილი 40 წლიდან 15 წელიწადი მაინც ომებსა და ომების შემდეგ აღდგენას დასჭირდა. თითქმის 20 მილიონი ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის დროს. ათობით ქალაქისა და ასობით სოფლების ხელახლა აშენება გახდა საჭირო. ხალხს უკანასკნელი სამი, ოთხი წლის განმავლობაში მიეცა შესაძლებლობა ომის შემდგომი აღდგენიდან მეურნეობის საერთო განვითარებაზე გადასულიყო. ახლა უდიდესი რაოდენობით და მაღალი ხარისხისა მზადდება ყველა სახეობის საქონელი — მძიმე სატვირთო მანქანებითა და ტრაქტორებით დაწყებული და ფეხსაც- [illegible]

მიანები ლაპარაკობენ წარმოებაზე, ფიქრობენ წარმოებაზე, პროდუქციის გადიდების მეთოდებზე და შესაძლო გაუმჯობესებაზე — ისეთი უდიდესი ინტერესითა და სიმტკიცით, როგორიც, უცხოელთა აზრით, მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მარქსის, ჰადრაკასა ან კლასიკური ბალეტის მიმართ.

ამავე დროს წარმოების გადიდებისათვის არის სტიმულები — მთლიანად ფულადი პრემიების ფორმით, რომლებიც ზოგჯერ ერთიორად ზრდიან ჩვეულებრივ ხელფასს. ამან დიდი გავლენა მოახდინა ეროვნული შემოსავლის უდიდეს ზრდაზე. ამის შედეგად დღევანდელი საბჭოთა ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია საშუალო მომხმარებლის მნიშვნელოვანი მყიდველობითი უნარი. ადამიანებს აქვთ ფული. ამასთან ბევრი — ისინი მზად არიან შეიძინონ ამ ფულით ძირითადი საქონელი. პირადი დაგროვების ახლანდელი ტემპების პირობებში 1965 წლისათვის ასეულ ათასობით, ხოლო შესაძლოა მილიონობით ადამიანს შეეძლება იყიდოს ავტომობილი პირადი სარგებლობისათვის.

თემიდან ამ გადახვევას უნდა ვუმადლოდეთ „ვოლგას", რომელმაც მშვიდობით გაიარა მდინარის ქვიანი კალაპოტი. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს.

ქართველი მასწავლებელი ნახევარ საათს არ ჩანდა. იგი დაბრუნდა ადგილობრივი დასახლებული პუნქტის მეთაურთან, შაქრო გოგიაშვილთან ერთად, რომლის მდგომარეობა მერის მდგომარეობას შეესაბამება. დასახლებული პუნქტი კოლმეურნეობა იყო, რომელსაც ძირითადად სპეციალობად გაუხდია ყურძნის მოყვანა მევენახეობისათვის.

**ნ. კაზინსი.**

(დასასრული იქნება).



სოხუმის ნავსადგურის ხედი.




## ეიზენჰაუერისა და კუბიჩეკის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 24 თებერვალი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა და ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟ. კუბიჩეკმა, რომელნიც ერთმანეთს შეხვდნენ ახალ ქალაქ ბრაზილიაში, რომელიც მალე ბრაზილიის დედაქალაქი გახდება, გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება.

განცხადებაში დეკლარირებულია ერთგულება „პანამერიკანიზმის" პრინციპებისადმი და შეიცავს მოწოდებას გაერთიანონ „ამერიკის ქვეყნების გაერთიანების ყველა ქვეყნის ღონისძიებანი", რათა შეთანხმებული მოქმედებით გააძლიერონ ღონისძიებანი, რომელთაც შეუძლიათ დაძლიონ არასაკმაო განვითარება ამერიკის კონტინენტის უდიდეს რაიონში".

## დასავლეთი გერმანია კვლავ იარაღდება

**პარიზი,** 23 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთი გერმანია კვლავ იარაღდება, წერს საფრანგეთის გაზეთი „პარი-პრეს-ენტრანსიჟანი". ამჟამად აღნიშნავს გაზეთი, ბუნდესვერის მთელი შეიარაღების დაახლოებით ნახევარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე აწარმოებენ. კერძოდ ეს შეეხება ტანკებს, წყალქვეშა ნავებს და ორი ტიპის თვითმფრინავებს — ამერიკის თვითმფრინავ „სტარფაიტერის" ტიპის მიხედვით გაკეთებულ რეაქტიულ ავიაგამანადგურებელს და მსუბუქ ბომბდამშენს, რომელიც გაკეთებულია იტალიის თვითმფრინავის „(ლათინური ასო გ-91)" ტიპის მიხედვით.

პარი-პრეს-ენტრანსიჟანი ხაზს უსვამს, რომ ფორმალურად სამხედრო ქარხნები დასავლეთ გერმანიაში არ არსებობს, და მთელ ამ შეიარაღებას აწარმოებენ ეგრეთწოდებულ „სამოქალაქო საწარმოებ- [illegible]

# თეთრი ოლიმპიადა



## ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში

**სკვო ველი,** 23 თებერვალი. (საკდესი). დღეს ნებისმიერი ფიგურული სრიალით დამთავრდა VIII თეთრი ოლიმპიადის ქალთა შეჯიბრება ერთეულთა შორის.

სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა, ნიჭიერმა ამერიკელმა სპორტსმენმა კეროლ ჰეისმა დანარჩენ 25 მონაწილეზე უკეთ შეასრულა 5 სავალდებულო ვარჯიში და დღევანდელი ნებისმიერი პროგრამა, რის შედეგადაც მოაგროვა 1.490,0 ქულა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მან შეერთებულ შტატებს მოუპოვა პირველი ოქროს მედალი.

ოცი წლის კეროლ ჰეისის ვარჯიშმა, რომელიც ჩაიკოვსკის, დელიბისა და როსინის მუსიკის თანხლებით სრულდებოდა, ბევრჯერ გამოიწვია სკვო ველის ყინულის სარბიელზე შეკრებილი 8 ათასი მაყურებლის მქუხარე ტაში.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ჰოლანდიელმა სპორტსმენმა ს. დიიქსტრამ, რომელსაც აქვს 1.424,8 ქულა. მესამე ადგილი დაიკავა აგრეთვე ამერიკელმა სპორტსმენმა ბ. როლსმა (1.414,9 ქულა). კარგად შეასრულა ვარჯიშები ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა იანა მრაზკოვამ, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა. მეხუთე და მეექვსე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ჟ. ჰანაპელმა (ჰოლანდია) და ლ. ოუენმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

საბჭოთა სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

## დღეს სკვო ველიში

სკვო ველი მსოფლიოს სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. ამ ულამაზესი კუთხის საციგურაოებზე, სათხილამურო ტრასებზე, ჰოკეის მოედნებზე მიმდინარეობს საინტერესო შეხვედრები ზამთრის VIII ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

25 თებერვალი ასპარეზობის მორიგი დღეა. ამ დღის შეჯიბრების პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა. დილიდანვე დაიწყება შეხვედრები სათხილამურო ესტაფეტაში 4×10 კილომეტრზე ვაჟებისათვის. მოციგურავე ვაჟები ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან ფიგურულ ციგურაობაში სავალდებულო პროგრამით.

დიდ ინტერესს იწვევს მოციგურავე ვაჟთა შეჯიბრება 5.000 მეტრზე რბოლაში, სადაც გამოვლენ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი სტაიერები.

საღამოს დაიწყება ფინალურ ჯგუფში მონაწილე გუნდების შეჯიბრება ჰოკეიში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის, სსრ კავშირისა და გერმანიის, შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

## ზამთრის ოლიმპიადის ქრონიკა

⊙ სსრ კავშირის სპორტსმენები ზამთრის VIII ოლიმპიურ ასპარეზობაზე მეტოქეებს უსწრებენ არა მარტო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, არამედ შეჯიბრებაში მოპოვებული საპრიზო ადგილებით, მედლებით. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით საბჭოთა მოციგურავე ქალებს, რომლებმაც 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით ისახელა თავი ჩელიაბინსკელმა სტუდენტმა სპორტსმენმა ლ. სკობლიკოვამ. მან 2 ოქროს მედალი მოიპოვა, ამასთანავე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

⊙ უცხოეთის გაზეთები ფართო კომენტარს უკეთებენ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებას სკვო ველის ასპარეზობაში. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" 21 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია სტატია სათაურით „საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე ლიდერები არიან მოთხილამურე ქალთა მიღწევებით". „რინო ივნინგ გაზეტი" წერს — „რუსებმა თავიანთი გამარჯვება რთულ ტრასაზე კოსმოსური სიჩქარით წაიღეს". „პირველი მსოფლიო რეკორდი ოლიმპიურ ასპარეზობაზე საბჭოთა სპორტსმენ ქალს ეკუთვნის" — ასეთი სათაურით არის დაბეჭდილი სტატიები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთებში.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


## 25 თებერვალი

თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი (მე-2 აბ. მე-7 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ამბავი სიყვარულისა, მარჯანიშვილის სახელობის — ჩემი ყვავილეთი, გრიბოედოვის სახელობის — ყველაფერი ხალხს რჩება, სანკულტურის — არეული დღე, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კომეტა ბ-2 (აბ. № 35, 6 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ამბავი ერთი ქალიშვილისა, ოქტომბერი, კომკავშირელი — განკიცხულნი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, უზბეგი — მე შენ გეძებ, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი — პატარა კუნძულზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), დიდუბე, კომუნარების ბაღი, თანამგზავრი — შემთხვევა პეროლშტაინში, ოფიცერთა სახლი — საშინაოკოშებიანი გმირი, კოლმეურნე — მეორე ქალი და მწყემსი.

• • •

ტელევიზია

19.00 — კონცერტი მოსწავლეთათვის (მონაწილეობენ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები), 19.25 — კინოჟურნალი, 19.35 — ლიტერატურული კომპოზიცია — „საბჭოთა საქართველოს 39-ე წელი", 20.15 — კინონარკვევი „ატომური რეაქტორი" (თბილისის ტელესტუდიის გამოშვება), 20.35 — [illegible]


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: [illegible]

უე 00951 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.